

## ეთნოლოგია, არქეოლოგია

გიორგი ჩინჩალაძე

## ბუნებასთან მიმართების საზრისისათვის ხალხურ ტრადიციაში

„უფლისაა არს ქუეყანა და სავსება მისი...“  
(ფსალმ. 23,1)

ადამიანის, როგორც მორალური არსების ბუნებრივი ღირსება საკუთარი კეთილი ნების თვითგანცდა და თვითშეგნება<sup>1</sup>. ამიტომ ზნეობრივი მოქმედება გაგებულია როგორც თავისთავადი, საყოველთაო კანონი და ამავე დროს, როგორც საღვთო მცნება; რადგან ყოველი ვალდებულების საფუძველია ღმერთი – სიწმინდისა და ზნეობრიობის იდეალი. „თესლოვანებითი რაღამე სიტყუად დათესულ არს ჩუენ შორის, რომლითა თავით თვსით გუქონან მიზეზნი კეთილისა თვსად განსაკუთრებისანი... ესრეთ ბუნებით კეთილისა გულის მთქუმელ არიან კაცი, ხოლო საკუთრებით კეთილ და საყუარელ სახიერი არს და სახიერი მხოლოდ ღმერთი არს და ვინაფთგან ყოველთა კეთილისა და სახიერისა გული უთქუამს და ღმრთისათვის საღმე სურის ყოველთა“ (ბასილი დიდი). ამიტომაც მორალურ მოქმედებას მხოლოდ ღვთისა და საიქიო ცხოვრების მიმართ შეიძლება ჰქონდეს საზრისი – „რადგან ღმერთმან კაცი დაჰბადა დამარხვისათვის სჯულისა და სიმართლისა და სწავლისათვის სოფელსა შინა კეთილისა საქმისა“ (იოანე ბატონიშვილი). ღვთის ხატება და მსგავსება ადამიანში ხომ „მოქმედება, სიბრძნე და სიყვარულია, რომელსა შორის წმინდა სამება გამოისახვის: მოქმედი მამა, სიბრძნე, ძე და სიყვარული სული წმინდაა ... ხატებისაებრიობა გონიერებასა და თანამფლობელობასა ცხად ჰყოფს“ (სულხან-საბა ორბელიანი). ასე რომ, ღვთის ხატება და მსგავსება, ანუ ჭეშმარიტი ადამიანურობა ღვთის ცხოვრებასთან თანაზიარებაა, რათა „სათნოებით საკუთარ ექმნას იგი შემოქმედსა თვსსა“ (არსენ იყალთოელი) და „იყოს წარმომაჩინებლად მისა ქუეყანასა ზედა“ (იოანე ბატონიშვილი). სწორედ „ამისათვის მოგვეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული, ამისათვის იქმნა განკაცება ღმრთისა ... რათა თანამოქალაქე მყვნეს წმიდათა და სახლეულ ღმრთისა“ (არსენ იყალთოელი), ანუ „ღმერ-

<sup>1</sup> თვითდაკვირება, თვითშემეცნება, ანუ „საზრიანობა“ პიროვნული „მე“-ს არსებითი თვისებაა. ვავისენოთ, რომ ბუნებითი სჯული, ანუ სინდისი განიმარტება როგორც „მაზილებელი გონება“ (სულხან-საბა ორბელიანი) და იგი ღვთისაგან მონიჭებული უკვდავი და გონიერი (მეტყველი) სულის არსებითი თვისებაა, რათა „გამოეძიებდეს ჭეშმარიტებას“ (იოანე ბატონიშვილი). „მჯული თესლოვანებით ჩუენ შორის მყოფთა მათ ძალთა მუშაკ არს და მზრდელ თესლისა მის და მოძღვრებისა მცნებათა უფლისათაჲსა“ (ბასილი დიდი).

თი განკაცნა იმისათვის, რათა ადამიანი გამხდარიყო ღმერთი“ (წმ. ათანასე ალექსანდრიელი). ასე რომ, იძლევა რა ადამიანური ყოფიერების საზრისს, ესე იგი იმას, თუ როგორ ვიფიქროთ და ვიმოქმედოთ<sup>2</sup>, საღმრთო სჯული (კანონი) ღირებულებათა შერჩევა-ინტერპრეტაციის, ანუ ქცევების „მოდელს“ წარმოადგენს, რომელიც „ამასცა ცხოვრებასა სარგებელ არს და მერმეცა...რამეთუ არათუ საუკუნოსა ოდენ გვასწავებს, არამედ საწუთოსაცა, თუ ვითარ ვიყოფოდეთ... ხოლო ვნებანი აქაცა მავნებელ არიან და მუნცა“ (წმ. იოანე ოქროპირი), ანუ წმიდა მართლმადიდებელი ეკლესია ასწავლიდა ხალხს „ღვთისა, მეფისა და მამულის მსახურებას, მშობელთა, მწყემსმთავართა მორჩილებას, აგრეთვე სიყვარულს მეზობელთა, მოყვასთა ჩვენთა, თანხმობას ურთიერთის კეთილსა ზედა“ (იოანე ბატონი შვილი). ამ მცნებათა დაცვა, „დამარხვა“ ხალხის კეთილდღეობისა და სტაბილურობის გარანტია იყო, მათი დარღვევა კი პირიქით – სოციალური თუ ბუნებრივი კატაკლიზმების საფრთხის შემცველი, „რამეთუ ცოდვათათვის ქუეყანისათა მიუშვებს ღმერთი განსაცდელსა და ტყვეობასა“ (ტიმოთე გაბაშვილი), „უკეთუ სული მოკვდების ბოროტისათვის, ხორცი იტანჯების და ესრეთ ორნივე მონაწილეობენ მისაგებელთა შინა კეთილისა და ბოროტისა“ (იოანე ბატონი შვილი)<sup>3</sup>: ადამიანი ხომ სულიერ – სხეულებრივი ტოტალობა (მთლიანობა), ამიტომაც ღვთისმსახურებაში თანაბრად უნდა მონაწილეობდეს სული და ხორცი, „რამეთუ ხორცი ეგე თქუენნი ტაძარნი თქუენ შორის სულისა წმინდისანი არიან, რომელნი ეგე გაქუს ღმრთისაგან“... (1 კორინთელთა, 6, 19). ზეციურისა და მიწიერის ამ ღვთაებრივ ერთიანობასა და თანამონაწილეობაზე მიუთითებს წმ. ილია მართალი: „დედამიწა ზეცის სარკეა... კეთილი საქმე კი ცხოვრებაა სულისა, სამოთხესაც აქედამვე ეგ ანათებს და ჯოჯოხეთსაც აქედამვე ეგ აქრობს“ („გლახის ნაამბობი“). სწორედ სულიერი და ხორციელი სიკეთის „შეზავებისათვის“ ამბობს წმ. ეკლესია, რომ „კეთილთა თქუენთაგან გლახაკნი და ეკლესიანი ნაწილელულ არიედ მარადის... რამთა ნაცვლად უფალი მოიგოთ სასოდ ორისავე ცხოვრებისა“ (გ. მერჩულე). ამიტომ მორალურ კანონად, ღვთისმსახურებად იყო გაგებული ხალხში ყოველი მონაგებიდან თუ მოსავლიდან საუკეთესო ნაწილის – „თავეულის“ (მეათედი) შესაწირავად – „ზედა შედ“ დაყენების წესი. საზრისი ამ ჩვეულებისა იყო ის, რომ „ნაწილი“ ჰქონოდათ ღმერთთან – ქრისტესთან, რომელიცაა „სრულმყოფელი ყოვლისა, სიკეთისა“. ქრისტეს ნაწილნი და

<sup>2</sup> გავიხსენოთ, რომ კულტურაც განისაზღვრება როგორც ღირებულებათა შერჩევა. შეფასების ფორმა, ანუ ის, რასაც ფიქრობს და აკეთებს ადამიანი (იხ. დ. ქერქაძე, 1984. გვ.121). საგულისხმოა წმ. ეპისკოპოს გაბრიელის სიტყვებიც - „აზრითა, ანუ შენითა ფიქრითა შენ უნდა იყო მონაწილე და თანახმა იყო ქრისტეს აზრისა და სწავლისა; მოქმედებით ანუ ნაბითა შენითა უნდა იყო თანამშრომელი და თანაშემწე მისი“.

<sup>3</sup> დანაშაულისთვის (ცოდვისთვის) ამ ნაცვალგებას გამოხატავენ პოეტის სიტყვებიც - „მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთთან მათ პასუხი უყო ცოდვილსა... ეენახთ უწვიმის სეტყვანი, მსგავსი ნახეთქი ლოდისა... შემუსრის ძალი პურისა... შემცირდის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა, ნამი არ გასტყვრის, გოლვამან მოწვის ბალახი თუ ხილი“ (დ. გურამიშვილი).

ნაცვალნი კი არიან მღვდელნი. „რომელმან ივნო ჩუენთჳს მღვდელმან მან საუკუ-  
ნემან და ჩუენ ყოველნი გუაცხოვნა... და თვისისა მღვდლობისა ნაცვალად  
უფალმან მოციქულნი დაადგინა მღვდლად და შემდგომითი შემდგომად  
ყოველნი სარწმუნონი მღვდლნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ ქრისტეან-  
ეთად მღვდლობასა შეჰვედრა... და აწ არაჲ ვინაჲ არს კაცთა ცხორებაჲ თვნი-  
ერ მღვდლობისა“ (გ. მერჩულე). სწორედ მღვდლებზე ამბობს უფალი იესო  
ქრისტე – მარადიული მეუფე, მღვდელი და წინასწარმეტყველი, რომ – „ნაწ-  
ილი მათი მე ვარო“. წმინდა იოანე ოქროპირი კი ამბობს – „პატივსცემდეთ  
პისკოპოსთა, ვითარცა თვით ქრისტესა, ხოლო მღვდლთა, ვითარცა თანა მო-  
საყდრეთა და შეუღლებულთა მოციქულთასა... ვითარცა რა მეგობარ ღვთი-  
სათა, რამეთუ თვინიერ მათსა ეკლესია არა განათლდების“. სწორედ უმაღლეს  
ყოფიერებასთან, ღვთის სასუფეველთან მეტაფიზიკური ერთობა, თანამონაწ-  
ილეობა მიზეზი და მიზანი, რომ შრომითი წეს-ჩვეულებების თუ გარკვეული  
აკრძალვების ციკლი მთლიანად ორიენტირებულია საეკლესიო კალენდარზე  
– საუფლო, ღვთისმშობლისა თუ წმინდანთა მოსახსენებელ დღესასწაულებზე,  
რომელთაც „სათნოდ ღვთისა აღასრულეს ცხოვრებაჲ თვისი და წინაშე მისსა  
ბრწყინავენ მარადის“ (გიორგი ხუცეს-მონაზონი), და „მანვე ყოვლის შემძლე-  
მან ღმერთმან მისცა მადლი ხელმწიფებისაჲ შეწევნად მორწმუნეთა... და ჩვენთჳს  
ვედრებასა ჰყოფენ მოუკლებლად მისსა მიმართ“ (გ. მერჩულე). „ამანვე წმი-  
დანი თვისნი, სათნო ყოფილნი ღმერთებისა მისისანი, ცხრანივე დასნი წმინდა-  
თა ანგელოზთანი და მეთენი კაცთანი, პირველისა სჯულისა შინა მამამთავარ-  
თა და წინასწარმეტყველთანი, ახალსა შინა მოციქულთა და მღვდელთმოდ-  
ვართანი, მოწამეთა და წმინდათა მამათა და დედათანი, განაჩინა მეოხებად  
ჩვენთვის, თანა წმიდასავე ქალწულსა, საკუთრად მშობელსა მისსა და ყოველ-  
თა ნაშობთა უმეტესსა თავადსა იოვანეს ქადაგსა სიტყვისა ღმრთისსა, წინამორ-  
ბედსა და ნათლისმცემელსა“ (აბუსერიძე ტბელი). მხოლოდ ღვთის მცნებებით  
ცხოვრება, ანუ სიმართლისა და სიკეთის მსახურებით შეიძლებოდა ზეციურ  
მოქალაქეთა – წმინდანთა დასის თანადგომის მოპოვება ამქვეყნიური ცხოვრე-  
ბის სიძნელეებისაგან თავის დაღწევაში, რომლებიც „პირსა ღვთისასა ხედვენ  
მარადის“, და „ვითარცა ხატნი მეტყუელნი წინა სხენან სახედ სათნოებისა, და  
სწავლად სიბრძნისა და სიმხნედ ახოვნებისა“ (გიორგი ხუცეს-მონაზონი) და  
სიკვდილის შემდეგ „ყოვლადვე შემძლებლნი მიცემად ორსა სახესა მისაგებელსა  
**ქცევათებრ** კაცთაჲსა“ (გ. მერჩულე)<sup>4</sup>. ასე რომ, ღვთის მადლში მონაწილეო-

<sup>4</sup> „წინაპართა“ ამ მორალურ კანონზე საგულისხმო აზრს გამოთქვამს წმ. ეპისკოპოსი ლეონიდე – „ურწმუნოება, მოყვასთა მტრობა, ქურდობა და ავაზაკობა, მეძაობა, სიმთვრალე, ჭვრივ-ობოლ-  
თა და ღარიბ-დავრდომილთა განუკითხაობა, სამშობლოს არა-სიყვარული და დავიწყება საზოგა-  
დო სარგებლობისა ქართველს მიაჩნდა ამ წმინდანების ღალატად“. მოვალეობა კი წმინდა მამების  
განმარტებით განაპირობებს თანაგრძობას, იმედს, ანუ სიყვარულით კავშირს, რაც ღვთისაგან  
მონიჭებული უკვდავი სულის ბუნებრივი კუთვნილებაა, საღვთო თვისებაა. რამეთუ ღმერთი მა-  
რადიულია – სიყვარულიც მარადიულია... ამიტომ ყველა ზნეობრივი არსება-ანგელოზები,  
მიცვალებულთა სულნი და ადამიანები განუყოფელ კავშირში არიან ერთმანეთთან (იხ. „ლაზა-  
რეს აღდგინება“, XII. 1999, გვ. 104-110). ასე რომ, სააქაოსა და საიქიოს შორის მარადიული, განუყო-  
ფელი კავშირია, რამეთუ „ღმერთის კანონია სიყვარულით კავშირი“ (ბერმონაზონი მიტროფანე).  
შღრ. „თვისებანი სულისანი არიან გულისხმის ყოფა, ნება და მესხიერება“ (იოანე ბატონიშვილი).

ბა ანუ „წილიანობა“, „დავლათიანობა“ და საბოლოო ნაცვალგება საზრისისა ცოცხალთა დაცვისა თუ კეთილდღეობის, ანუ „კაც-საქონის სიმრთელის, ნახ-ნავ-ნათესის თუ ნაწველ-ნადღეობის მადლ-ბარაქის“. ამიტომაც წმინდანთა „ხსენება ქებით აღესრულების და დღესასწაულისა მათისა შემამკობელთა ჰფარ-ვენ მარადის და მადლსა მიანიჭებენ ყოველსა მორწმუნეთა“ (გ. მერჩულე). ამა თუ იმ სალოცავის დღეობა სახალხო დღესასწაულის სახეს იღებდა. წირვის შემდეგ კი იმართებოდა ბურთაობა, ზირითი, ჭიდაობა თუ მუშტი-კრივი. იმართებოდა საერთო „პურის ჭამა“ წმინდანებისადმი მადლიერების ნიშნად და სხვა. ამ დღესასწაულებზე ხალხი „განიცდიდა თავის ერთობას, ნათესაურ გან-წყობილებას... ითვალისწინებდა თავისი სამშობლოს ბრწყინვალე წარსულს“<sup>5</sup> და ექსოვებოდა მამა-პაპათა განაცადს მთელი თავისი არსებობის ძალებით. ასეთ მდგომარეობაში ჩადგომა დრო-გამოშვებით იმდენად საჭიროა ადამიანისათვის, რამდენადაც ფიზიკური არსებობა“ (წმ. ეპისკოპოსი ლეონიდე). ამიტომაც, სოფლის სალოცავის დღეობებს, „ხატობებს“ საერო ინსტიტუტს უწოდებ-დნენ. როგორც წესი, ყველა ოჯახში იყო საზედაზე ღვინო<sup>6</sup>, რომელიც ხელ-შეუხებლად, წმინდად ითვლებოდა. საეკლესიო დღესასწაულებზე შემომწირ-ველთა მთელი რიგები იდგა, რადგანაც ყველა ცდილობდა მოეხადა თავისი მოვალეობა. დიდ დღესასწაულებზე კი მღვდლები ძლივს აუდიოდნენ საწირა-ვების კურთხევას. ტაძრის კარიბჭესთან შესაწირავების „ზღვა“ იდგა ხოლმე – ცხვრების, ხარების ტყავები, ქადა-ნაზუქები, ხაჭაპურები, ცხვრის ბარკლები, ძროხის ბეჭი, მამლები ხორა-ხორა იდგა, ზედაშეს საგსე საღვინეები...“ (იხ. ე. გაბაშვილი, „გამარჯვებული ნიკო“). წირავდნენ ძვირფას ნივთებსაც, ვერცხ-ლის ფულებს, ბეჭდებს, თასებს, აზარფეშებს, „ზოგი ვერცხლის უღელს, რომელ-იც შეთქმისაებრ მთელ წელიწადს ყელზედ ეტარებინა, იმას ტოვებდა... ტაძრები უმთავრესი საგანძეები იყო, სადაც მლოცველთა ურიცხვი შეწირულობანი ინ-ახებოდა“ (იხ. ა. ყაზბეგი, „მოძღვარი“). თავისი სასწაულმოქმედებით განთქმულ ტაძრებს კი საქართველოს ყოველი კუთხიდან მოუდიოდა შეთქმული შესაწირ-რი – საკლავი, ძვირფასეულობა თუ სხვა<sup>7</sup>. შესაწირავი ისეთივე საყოველთაო

<sup>5</sup> ანთროპოლოგიის „ენით“, ისტორიული ბედის თანაგანცდა საფუძველია ეროვნული ხასიათის, რომელსაც განსაზღვრავენ როგორც „ფსიქიკურ წყობაში დაფიქსირებულ ერის ისტორიას“ იხ. დ. ქერქაძე. 1984. გვ. 61

<sup>6</sup> აღსანიშნავია, რომ შესაწირავი წითელი ღვინო და სეფისკვერი წმინდა ზიარების საიდუმლო-სათვის თავად მლოცველებს მიჰქონდათ და მწირველ მღვდელს მთავრადნენ როგორც ძღვენს, ასევე სანთელ-საკმეველიც. „ძველისა ქართველთა ჩვეულებისა გამო“ (პ. იოსელიანი, 1978, გვ. 39). გავიხსენოთ დაფიცების ხალხური ფორმულებიც: „წმინდა ზიარების მადლმა“, „კვირის წირვის მადლმა“ და სხვა.

<sup>7</sup> კერძოდ, ასეთად ითვლებოდა ხალხში ძველად სათაურას წმ. გიორგის ტაძარიც, რომელშიც გადმოცემით, წმ. მთავარმოწამე გიორგის თავის სარქველი ესვენა. „გაზაფხულობით დაიძვრებო-და მისი მლოცავი ხალხი და საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდის აქ შესაწირავი“ (იხ. ნ. ლო-მოური, „ქაჯანა“).

აუცილებლობად ითვლებოდა, როგორც „ხატის წინ სანთლის ანთება. ამის აკრძალვას ისე მიიღებს, როგორც სანთლის ანთების დაშლას“ („აკაკის კრებულები“, №6, 1899). აქვე გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XIII-ის ცხოვრებიდან: როდესაც იგი სამღვდელოებასთან ერთად მთაში იმყოფებოდა წმინდა ჯვარ-ხატების მოსალოცად, ხალხი ძღვნად მიართმევდა ძროხას, ცხვარს, თხას, ერბოს და ყველს „სამასპინძლოდ ქრისტეს სახელისა მქადაგებელთა“ (პ. იოსელიანი, 1978, გვ. 47). ხალხი წმინდანებს შესთხოვდა ოჯახის კეთილდღეობას და საერთოდ, ყოველი სულიერის დაცვას, „აკაც-საქონლის სიმრთელეს“. ასე მაგალითად, წმინდა ქალწულმოწამე ბარბარე ითვლება ასევე ყოველი სულდგმულის – საქონლის, ღორების, ქათმების და სხვათა მფარველად, „მკურნალად“ გარდა იმისა, რომ იგი ბავშვთა შემწე და მფარველიცაა. მაგ., თბილისში წმ. ბარბარეს ხატს ხალხში სხვადასხვა ეპიდემიებისაგან დამცავი სასწაულთმოქმედი ძალა ჰქონდა და, სწორედ ეს ხატი იცავდა ქალაქს შავი ჭირისაგანო. წმ. ბარბარეს ტაძრის დღესასწაულზე (4 დეკ. ძვ. სტ.) მადლიერების ნიშნად ყოველთვის მიჰყავდათ სახადისაგან მორჩენილი ბავშვები. მლოცველები, მიუხედავად დეკემბრის სუსხისა, შეთქმისაგან ფეხშიშველად მიდიოდნენ საყდარში. მკურნალად, „აქიმად“<sup>8</sup> უხმობდნენ აღმ. საქართველოს მთიელები წმ. კეთილმსახურ მეფე თამარსაც. მადლიერების ნიშნად კი მის „ჯვარხატს“ (სალოცავს) ძროხას შეუთქვამდნენ. საერთოდ, საქართველოში საყოველთაო წესი იყო საყდრისადმი ხარისა თუ ძროხის შეთქმა. ასეთად გამორჩეულ, საუკეთესო პირუტყვს შეარჩევდნენ. კერძოდ, სვანეთში, სამღვთო ფურად – „მუსხუდ“ იმ ფურს დააყენებდნენ, რომელიც მსხვილ და ლამაზ ხარებს იგებდა. ასეთი შეთქმული ხარების ყოფნა სოფელში ავი სულებისაგან დაცვის გარანტიად მიიჩნეოდა. „ხატობაზე“ ზოგჯერ მთელი სოფლის შეგროვილი ფულით კოლექტიურად ყიდულობდნენ ხარს, რომლის ხორცი სასოფლო ნადიმზე ჩამორიგდებოდა და ყველა იქ მყოფს უნდა შეხვედროდა. მისი შინ წაღება არ შეიძლებოდა. ამას „ხატის წილი“ ერქვა. „ძუძუს მწოვარსაც ვერ დააკლებდნენ, რადგანაც ამით ერთობა, ერთის ოჯახობის მონაწილეობა მტკიცდებოდა... თავისი ხატის წილის მოთხოვნა ყველას შეეძლო“ (იხ. ა.ყაზბეგი, „მოდღვარი“). დაკლული საქონელი, წესისამებრ საერთო ქვაბებში იხარშებოდა. მთაში საკლავის მომტანთ დეკანოზები, წესისამებრ შუბლზე სისხლის ჯვარს გაუკეთებდნენ. თუ შეთქმული ჰქონდათ, მაშინ საკლავის მომყვან-

<sup>8</sup> გავიხსენოთ, რომ თავად მაცხოვარმა აღუთქვა თავის მოწაფეებს, აქედან გამომდინარე კი ყველა თავის მიმდევარს – „მისცა მათ ხელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმინდათა, რადთა განასხმიდნენ მათ და განჰკურნებდნენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძღურებათა“ (მათე, 10,1). ამიტომაც წმ. ეკლესიას ეწოდება „სულიერი სამკურნალო“, თავად უფალს კი – „მარადიული მკურნალი“, „რომელმან განჰკურნა ყოველნი სნეულებანი შენი“ (ფსალმ. 102,3). ჩვეულებად ჰქონდათ ასევე, წმინდათა საფლავიდან მიწის წამოღება, როგორც ევლოგია, საკურნებლად. საგანგებო შემთხვევებში, პარაკლისის შემდეგ ღვთისმსახურნი წმინდანის საფლავს გახსნიდნენ და ლუსკუმიდან წმინდა ნაწილებს ამოიღებდნენ კურნების მიზნით (იხ. პ. იოსელიანი, 1978, გვ. 1960,204).

ნი მღვდელს პარაკლის გადაახდევინებდნენ, ხორცს კი ნაჭერ-ნაჭერ ჩამოარი-გებდნენ როგორც მოწყალეებს. საკლავით თხოვნა ხატის კარზე კი ყველაზე სარწმუნოდ და სანდოდ ითვლებოდა ხალხში. ხარის დაკვლა წესად ჰქონდათ ასევე გაფიცებისას – „სამანის ჩაგდების“ წესი, დარისხებისას თუ დანაშაულის-თვის, „საკანონოდ“ – ე.წ. „ძეგლის დების“ ანუ „საკლავის წესი“ (ხევსურეთი, თუშეთი). დავუმატებთ, რომ „კურატი“, ხალხურ ტრადიციაში აღნიშნავს სწორედ „შეწირულს“ და მასში ძირითადად „მცირე კურო“, ანუ დაუყოღდავი ხარი იგულისხმება<sup>9</sup>.

მინდვრის სამუშაოების ციკლორობაც რელიგიური ნორმებით იყო გან-პირობებული. კერძოდ, საგაზაფხულო საველე სამუშაოების დაწყების ორიენ-ტირი იყო „ხარების“ უდიდესი დღესასწაული (25 მარტი, ძვ. სტ.). ხალხი მას „ოცობას“ უწოდებდა, რადგან გიორგობიდან (10 ნოემბერი, ძვ. სტ.) ხარებამ-დე ოც კვირას ანგარიშობდნენ. საქონლის საძოვრებზე გამორეკვის ნიშნული იყო საგაზაფხულო გიორგობა (23 აპრილი, ძვ. სტ.). დასავლეთ საქართველოს მთაში (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი) მინდვრის საგაზაფხულო ოპერაციების ორი-ენტირი იყო „ტარ-ჭაბუკობა“. ხალხური ტრადიციით, ჭაბუკის მნიშვნელობა უკავშირდება „გმირს“, მებრძოლს, ანუ გაგებულს, როგორც „თავი“ (პირვე-ლი), მებრძოლი, „წინამბრძოლი“, რაც წმ. მთავარმოწამე გიორგის ერთ-ერთი ეპითეტია. ადგილობრივი პურეული კულტურის, მახის აღების დრო ასევე გან-პირობებულია „ტარ-ჭაბუკობის“, ანუ „წინამბრძოლის“ მეორე დღეობით, რომელიც მოდიოდა ივლისში (ნ. აბაკელია, 1997, გვ. 31-33). მიწას რომ მოხ-ნავდნენ, შიგნით პატარა ჯვარს ჩადგამდნენ და ამას „პაპა-ჯვარს“ ეძახდნენ. ამას აკეთებდნენ, რათა ნახნავ-ნათესს მადლი და ბარაქა მისცემოდაო (იხ. ნ. ლორთქიფანიძე, „ძველი ამბები“). სვანეთში ფეტვის მოსავლის საუკეთესო ნაწილს მართალი ანნას სახელზე შეუთქვამდნენ, რადგან წმ. ანნა – ყოვლად-წმინდა ღვთისმშობლის, ქალწული მარიამის დედა და ქრისტე მაცხოვრის ბე-ბია\* ადგილობრივი ტრადიციით, ფეტვის კულტურის მფარველადაც მიიჩნე-ოდა. ამდღეების საუფლო დღესასწაულიდან ითვლიდნენ ძროხის წვევლადობის მატებას, ამიტომ ხალხში ამდღეებს „მზის ცვრობას“, ანუ „ერბობასაც“ ეძა-

<sup>9</sup> მართლმადიდებლურ სახითმეტყველებაში ხარი უკავშირდება მღვდლობას და აქედან გამომ-დინარე, შესაწირავის იდეას. გამოხატავს ქრისტეს განგებულებას, „რომელმან ივნო ჩუენთჳს, მღვდელმან მან საუკუნემან და ჩუენ ყოველი გუაცხოვნა“ (გ. მერჩულე). იხ. ასევე ბ. გულუა, სვე-ტიცხოვლის ფრესკის ფრაგმენტი „ზოდიაქოს რკალი“ თბ. 1999. ასე რომ, ხბო, კურო, ანუ „ხარი გამოუყურავი“ (იხ. ქართ. ლექსიკონი, 1928, გვ. 180) სიმბოლოა უბიწოების, უმანკოების. „ხბო – უმანკოებად იგი, და კუროდ წმიდათავე პირუტყუთაგანი არს, და სარქენელი იგი – ძლევაჲ ჯუარ-ისაჲ მტერთა მიმართ...“ (სტეფანე მტბევარი).

\* „ღვთისმშობელმან ჰრქვა: იწამეთ ვინ ცით გვიწვიმა მანანა. ქვეყნად უმამოდ ქლწულსა ძე მარწებინა, მანანა, პაპად, ბებიად ითინია იოაკიმე და მან ანა“ (დ. გურამიშვილი).

ხდნენ<sup>10</sup>. პეტრე-პავლობის დღესასწაულამდე სათიბში არ შედიოდნენ, „ყანა მოიფუტებაო“; თავად წმ. თავთა მოციქულთა პეტრეს და პავლეს ხსენების დღეს (29 ივნისი, ძვ. სტილით) უქმობდნენ. ფერისცვალების საუფლო დღესასწაულზე ხილის, სიმინდისა და ყურძნის კურთხევა ხდებოდა ტაძარში. ამავე დღეს, ფუტკრის პატრონები პირველად ამოიღებდნენ თავლს და მეზობლებში ჩამოარიგებდნენ. აღსანიშნავია ასევე, რომ მკისას იცოდნენ ე.წ. „მკის ჯვრის“ გაკეთება, რომელსაც შინ წაიღებდნენ და დედაბომზე თუ მარცვლეულის კიდობანში ინახავდნენ მთელი წლის განმავლობაში, მერე კი ახალ მოსავალში გაურევდნენ, რათა ბარაქა და სიუხვე მისცემოდათ. სამემოდგომო ხვნათესვას იწყებდნენ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულიდან (15 აგვისტო, ძვ. სტ.). კახეთში რთველი იწყებოდა ალავერდობის დღესასწაულიდან. რთველი არ დაიწყებოდა მანამ, სანამ საუკეთესო მტევნების აკიდოს სალოცავს არ შეწირავდნენ. სამეურნეო წლის დასასრულად კი ითვლებოდა „გიორგობა“ (10 ნოემბერს ძვ. სტ.). აღსანიშნავია, რომ რთველის დასასრულიც ზემოთ აღინიშნებოდა ისევე, როგორც მისი დაწყება. ასევე ზემოთ ხვდებოდა ხალხი ძველად პირველი სიმწვანის გამოჩენასაც. ყოველ კვირადღესაც უქმეს ინახავდნენ.

ხალხური ტრადიცია იყო ასევე ამა თუ იმ წმინდანის სახელზე პირმო შვილის, აუცილებლად ვაჟის, გარკვეული ხნით შეთქმის წესი, ე.წ. „ბერად შეყენება“, რომელსაც მიმართავდნენ რაიმე განსაცდელის ან ავადმყოფობისას. საყდრებს ჰქონდათ აგრეთვე თავიანთი ზვრები, ტყეები, საკუთარი ცხვრის ფარებიც კი (მაგ. წმ. თამარ მეფის სალოცავს ფშავში).

აღსანიშნავია, რომ წმინდა ადგილებს შეფარებული დაჭრილი ცხოველი მონადირისგან ხელ შეუხებელი იყო. აკრძალვისა თუ უქმეების სისტემა, როგორც აღვნიშნეთ, ეკლესიურ ნორმაზე იყო ორიენტირებული. ამიტომაც ეს ხალხში იყო გაგებული როგორც საყოველთაო ვალდებულებად, წინაპართა კანონი, ანუ საღვთო მცნება. უქმეებს ინახავდნენ საუფლო დღესასწაულებზე. დიდი უქმე იყო „წითელი“ პარასკევი ვნების შვიდეულში. ამ დღეს ქალები ნემსს, ქინძისთავს, მაკრატელს ხელს არ მიაკარებდნენ. მამაკაცები კი – რკინის იარაღს. გარდა ამისა, ხალხური ტრადიციით აღდგომიდან ამაღლებამდე ყოველ ორშაბათს ქალები უქმეს ინახავდნენ (ხელსაქმისგან), რათა ნათესები „სეტყვასა და კალიას არ დაეზიანებია“. ამავე პერიოდში, ამქრები თბილისში „სამღვთო“ სუფ-

<sup>10</sup> აღეგორიული აზრით, „სამღვთო ცვარი“, თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტეა, რომელმან „გუალული კაცთა ბუნებაჲ ცუართაგან მადლისათა მორწყო“ (ზოსიმე ათონელი) და „რომლისა ცუართა იხარებს ჭეჭილი სულთა მართალთა ნათელღებულთაჲ“ (მიქელ მოდრეკილი). დაუმატებთ, რომ ამაღლების საუფლო დღესასწაულიდან, ხალხური ტრადიციით იწყებოდაო ზაფხული – „ბუჩქი ზაფხულისა და წამალია, რასაც მოკრეფ ამ დღეს“. ასევე სამკურნალოდ და მავნე სულების „განსადევნელად“ იყენებდნენ სულთმოფენობის საუფლო დღესასწაულზე დაკრეფილ მცენარეებსაც – მათ ნახარშ წყალში ავადმყოფობისას განიბანებოდნენ. რთავდნენ სახლებს, საქონელსაც „აყვავებდნენ“.

რებს იხდიდნენ, რათა „ნათესებისა და ხილის უხვი მოსავალი ყოფილიყო“. 1 მაისიდან 7 მაისამდე (ძვ. სტ.) ქალები, რვა წლიდან დაწყებული ვიდრე ორმოცდაათ წლამდე, „ლაზარეზე“ დადიოდნენ, შეგროვილი სურსათით კი 7 მაისს, წმ. ღირსი მამის იოანე ზედაზნელის ხსენების დღეს, „სამღვთოს“ იხდიდნენ. ამ დღეს ხალხური ტრადიციით, აუცილებლად წვიმა მოვიდოდა, რაც თმის (ნათესების) ზრდას უწყობდა ხელს. მაგ., თბილისში ქალიშვილები ამ დღეს ჩამოშლილი თმებით ასკინკლათი დახტოდნენ და გაიძახოდნენ „7 მაისის წვიმა, 7 მაისის წვიმა“. მათი აზრით 7 მაისის წვიმას ისეთი თემები ამოჰყავდა, რომ მისი მნახველი „ჰკუდიდან შეიშლებოდა“. 7 მაისის წვიმის წყალს ქალები ახლადშემოსული ყვავილებითა თუ ბალახებით შეაზავებდნენ და თავის დასაბანად თუ სამკურნალოდ ხმარობდნენ. განსაკუთრებით დიდი გვალვიანობისას მღვდელი სოფელს ჯვრითა და სახარებით ხელში შემოუვლიდა. დავუმატებთ, რომ წმ. ზატიკის პერიოდში, კერძოდ აღდგომიდან ამდღემამდე ყოველი ორშაბათი, ძველად თბილისში, ქალებს შეთქმული ჰქონდათ დიდუბის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატისადმი და შვიდი ორშაბათი ზედიზედ ფეხშიშველი მიემართებოდნენ დიდუბის ღვთისმშობლის შობის ტაძარში. ამავე პერიოდში ყოველი ხუთშაბათი თბილისში, ქალებს შეთქმული ჰქონდათ, წმ. მამის დავით გარეჯელის სახელზე, რომელიც ითვლებოდა უშვილობის მკურნალადაც. სასწაულმოქმედი ძალა ჰქონდა იქვე ტაძართან გამომავალ წყაროს წყალს. მამა დავითს შესთხოვდნენ მშობიარობის ტკივილების შემსუბუქებას, შორიელში და ტყვეობაში მყოფი ახლობლების გამოხსნას და, საერთოდ, ოჯახურ ბედნიერებას. წმ. მამის დავით გარეჯელის ხსენების დღე, ამდღეების სწორზე, ხუთშაბათს, ანუ „მამადავითობა“ მთელი ქალაქის დღესასწაული იყო. აღსანიშნავია, რომ თბილისის მაჰმადიანი მოსახლეობაც თავყანს სცემდა წმ. მამა დავით გარეჯელს.

ნათესების ზრდის მიზნით ხალხში წესად იყო აგრეთვე საქანელათი „თამაშობა“, რასაც საქართველოში ყველიერის კვირაში ასრულებდნენ. ამ ჩვეულების საკრალურ მხარეზე მიუთითებს ისიც, რომ მისი შეუსრულებლობა „ისჯებოდა“ – „ვინც საქანელათი არ ითამაშებდა, მთელი წელიწადი თავის ტკივილები დასტანჯავდა“. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში საქანელების ჩამობმა იცოდნენ წველადობის მატების მიზნით. საქანელების ჩამობმა იცოდნენ აგრეთვე საახალწლოდ. ყველიერის ხუთშაბათს წმ. ღირსი მამის შიო მღვიმელის ხსენების დღეს („შიოობას“) ასრულებდნენ ე.წ. თავგების „განდევნის“ წესს. ხალხური ტრადიციით, წმ. შიოს „მუშას“ ეძახდნენ, შესთხოვდნენ „კაც-საქონლის სიმრავლეს“. ნათესების დაცვის მიზნით ასევე ასრულებდნენ „თავგ-ჩიტთა“ უქმეს, „მწერთა“ უქმეს, „ჩიტ-ფაფობას“ და სხვ., რომლებიც ყველიერის შვიდეულში სრულდებოდა. უქმეს ინახავდნენ ასევე ყველიერის ბოლო დღეს, – „დიდადებსა“ ქალები ხელსაქმეს ერიდებოდნენ, რათა „ხორბალი არ გაფუჭებულიყო“. აქვე დავუმატებთ, რომ საერთოდ პერიოდი შობიდან დიდმარხვამდე



ძველ საქართველოში ნადირობისა და ქორწილების დროდ ითვლებოდა.

როგორც ცნობილია, საქართველო „ნაწილია“, „საკუთარია“ ყოვლად-წმინდა ღვთისმშობელი ქალწულისა<sup>11</sup>. თითოეულ სოფელში, მთასა და ბარში აუცილებელ ვალდებულებად ითვლებოდა მის სახელზე საყდრისა თუ პატარა სალოცავი „ნიშის“ აგება, რათა მოეპოვებინათ მისი შემწეობა, თანადგომა. ამიტომაც საქართველოში ყველა სოფელს გააჩნდა თავისი მფარველი, ამ ადგილის „დედა“ – ღვთისმშობელი, რომელსაც შესთხოვდნენ „კაც-საქონლის მატებას“ თუ „ნაწველ-ნადღებების ბარაქას“, საერთოდ, ყოველი სულიერის დაცვას. მაგ., აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ღვთისმშობელს „ხართა მამასა და ფურთა დედას“ ეძახდნენ. პირველ მოგებულ პირუტყვსაც მის სახელზე შეუთქვამდნენ ხოლმე. ადგილის დედა – ღვთისმშობელში მოჰქონდათ ასევე ქადა-პურები, ყველანი ვალდებული იყვნენ ძროხის ნაწველის ნათავარის ქადა გამოეცხოთ და ღვთისმშობლის სალოცავში მიეტანათ. ეს ქადა-პურებიც იჭრებოდა და ყველა იქ მყოფზე ნაწილდებოდა, ისევე როგორც საკლავის ხორცი. ქართველი ერის მფარველი, „ქვეყნის მოქმედი“ იყო წმ. მთავარმოწამე გიორგი, რადგან „მას მისცა ქრისტემან ძლევა ყოველთა მტერთა და აწ ნაწილთა და სახელსა მისსა“ (გ. მერჩულე), თანახმად თავად ქრისტე ღმერთის აღთქმისა – „რომელმან ახსენოს წმიდად სამებად შენ მიერ ჩემდა მომართითა მეოხებითა და სახელსა შენსა ზედა აღშენებითა ეკლესიისაჲთა და აღმართებითა ჯვარისა გინა ხატისაჲთა და გინა სხუათა შესაწირავითა, მსგავსად სარწმუნოებისა მათისა, მას აღესრულოს ყოველივე თხოვათ ორისავე კერძოისაჲ“ (აბუსერიძე ტბელი). წმინდა გადმოცემითვე ქართველთა ეთნონიმი – „გეორგია“ მომდინარეობს – „ცხადთა სასწაულთათვის წმინდისა გიორგისათა ქართლად ქმნულთათვის... და კვალად, მეფენი საქართველოსანი დროშათა ზედა სახესა წმიდისა გიორგისასა აღმართებდნენ და ამისათვის უწოდეს გიორგიანად“ (ტიმოთე გაბაშვილი). საქართველოში დაუღუპებლად აღევლინებოდა წმ. მთავარმოწამე გიორგის ხსენება, რამეთუ გადმოცემით მის სახელზე 363 ტაძარი იყო აშენებული წელიწადის დღეების მიხედვით. წმ. გიორგის სახელზე სალოცავის აშენება მოცემული ადგილის უწმინდური ძალისაგან დაცვის საფუძველი იყო. ყოველგვარ განსაცდელში ხალხი მშველელად ყოველთვის წმინდა გიორგის უხმობდა „მასვე შეთხოვდა ოჯახის კეთილდღეობას, ბარაქას და სიუხვებს, სასურველ ტაროსს (ამინდს) და სხვა.

<sup>11</sup> წმ. გადმოცემით, როდესაც „წილ იგდეს მოციქულთა ქვეყანაჲ“ და ივერიის მოქცევა ღვთისმშობელ მარიამს ხვდა წილად, უფალმა იესო ქრისტემ ქართველი ერის მფარველობის აღთქმა მისცა თავის დედას – ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს: „ჰოა დედაო, ჩემო, არა უგულბეღეღყოერი იგი საზეპურო უფროსს ყოველთა ნათესავთა მეოხებითა შენითა მათთვის“. ამიტომ, ღვთისმშობელი დედაა, ანუ მეთაურია ქართველი ერისა (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ., 1994, გვ. 139). „ნეტარ ვართ ჩუენ და სამგზის სანატრელნი, რამეთუ ნაწილნი ვართ ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობლისანი“ (იხ. „ცხოვრება და მოქალაქობაჲ ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოისი“).

შობიდან მე-8 დღეს, ანუ 1 იანვარს (ძვ. სტ.) წმ. მართლმადიდებლური ეკლესია, როგორც ცნობილია, აღნიშნავს უფალი იესო ქრისტეს წინადაცვეთისა და სახელდების (სახელის წოდების) დღეს<sup>12</sup>. ეს დღე ტრადიციისამებრ ითვლება ახალი წლის დასაწყისად. ამავე დღეს წმ. ეკლესია მოიხსენიებს კესარია – კაბადოკიის მთავარეპისკოპოსს ბასილი დიდს. ყველა ოჯახში მის სახელზე ცხვებოდა რიტუალური პურები, ე.წ. „ბასილა“. ხალხი წმ. ბასილს შესთხოვდა ასევე საქონლის თუ ყველა სულიერის დაცვას, კერძოდ, ღორების სიმრავლეს. ღორი კი შობა-ახალწლის სუფრის აუცილებელი ატრიბუტია. ამ დღეებში სუფრაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ღორის თავი. ხალხური ტრადიციით მხოლოდ საშობაო ღორის დაკვლის მერე მოდიოდნენ „მეაღილოები“, ანუ შობის მახარობლები ჩამოვლავზე. ღორი ხალხშიც უკავშირდება წარმოდგენებს საღვთო მადლზე – საკრალურ ზეციურ ძალაზე. მაგ., გავიხსენოთ ხალხური დაფიციების ფორმულა: „ღმერთის წმინდა ღორს ვფიცავო“ (სვანეთი). „საკაღანდო“ ღორის თავი ზოგჯერ ნათლისღებამდე ჰქონდათ სხვენზე ჩამოკიდებული. ღორებისთვის საგანგებოდ აცხობდნენ საწესო პურებს (ტაბლას), ე.წ. „ღორის სალოცვილს“, რომლითაც ოჯახის უფროსი საღორესთან დაილოცებოდა: „წმ. ბასილიმ ამრავლოს ღორებიო“. ღორის თავი იყო ასევე აუცილებელი ელემენტი „აგუნას“ რიტუალის შესრულებისას, როდესაც ოჯახის უფროსი მამაკაცი მარანში ან ვენახში მიდიოდა და იქ საწინახელს ღორის თავს ურტყამდა, თან „აგუნას“ სიუხვეს და ბარაქას შესთხოვდა. აღვნიშნავთ, რომ „აგუნაში“ გავრცელებული აზრით იგულისხმება წმ. გიორგის ერთ-ერთი ეპითეტი – „წმინდა მებრძოლი“. საახალწლოდ საგანგებო პური – „განატეხი“ ცხვებოდა აგრეთვე ხარებისთვის „მისაკვლევად“. ზოგან (სვანეთი) გარეშე მეკვლე ხართან ერთად შემოდოდა შინ. ასევე საყოველთაო წესი იყო ახალი წლის წინა საღამოს ტყიდან მუხის, იფნის, ცაცხვის თუ მსხლის ტოტების შინ შემოტანა „ბედნიერების“ ნიშნად. ღორების დაკვლა წესად იყო წმ. გიორგისადმი მიძღვნილ ხალხურ დღეობებზე, რომლებიც მოდიოდა დიდმარხვამდე სამი კვირით ადრე მეზვერისა და ფარისევლის შვიდეულში. აღსანიშნავია, რომ დიდმარხვამდე სამ „მოსამზადებელ“ კვირას, ხალხი „ჭამის“ კვირეებს ეძახდა. დასავლურ-ქართული ტრადიციით, ასეთი დღეობებია: „მირსობა“, „გოჭის პარასკევი“ და სხვა. დაკლულ ღორებს წირავდნენ ჯეგე-მისარონის, ანუ წმ. გიორგის „მოისარის“ ეკლესიას. საღამოს საოჯახო ნადიმზეც აუცილებლად იკვლებოდა ღორი. ღორს წირავდნენ აგრეთვე ნეკრესის ეკლესიასაც. ასე რომ, ხალხურ წარმოდგენებში ღორი „საღვთო მადლის“ და, აქედან გამომდინარე, სიუხვის, ნაყოფიერების იდეას გამოხატავს. ღორების დაცვას და სიმრავლეს ხალხი წმ. ბასილი დიდს შესთხოვდა. საერთოდ, ახალ წელს წმ. ბასილის (1 იანვარი ძვ. სტ. მისი ხსენების დღეა) ხალხი შესთხოვდა – „კაც-საქონლის, თეთრისა და ქონების მატებას“. ღორის დაკვლა აუცილებლად ხდებოდა ასევე აღდგომას. ძვე-

<sup>12</sup> ახალ წელს მეკვლე ასე „უკვლევდა“ ოჯახს: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა! კურთხეულ იყოს უფალი ჩვენი იესო ქრისტეს სახელი!“

ლი ტრადიციით მეფეს აღდგომას მიულოცავდნენ სინით მირთმეული მოსახარშავად გამზადებული ღორის თავით. შდრ. ახალ წელს ბაზიერთუხუცესი მეფეს ტახტის მოოქროვილი თავით ულოცავდა. ღორის ასეთი სარიტუალო მნიშვნელობა ხალხურ ტრადიციასში და მისი დაკავშირება ბასილი დიდთან აიხსნება ერთი წმ. გადმოცემით, რომ „კურთხეულმან ვასილი გახსნა ჭამა ღორის ხორცისა. აკურთხა და გასწმინდა, რასაც მოსევ მცნებთა თვისით უწოდებს ბილწად... დიდმან ვასილი შემოიღო ესე, რათა ჭამითა ღორის ხორცის დააშოროს ჰურიათა ქრისტიანენი და რათა მოქცეულნი ქრისტეანედ და მიმალულნი ურიაობას ჰურიანი, ადვილად განიჩიოდნენ“ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1978, გვ. 176).

ამრიგად, ბუნებრივი გარემოსადმი დამოკიდებულებაში, თავად ადამიანის არსებიდან გამომდინარე<sup>13</sup>, განმსაზღვრელია მიზანსწრაფვა სულის „კეთილდღეობა“ – ცხონებისადმი როგორც უმადლესი მიზნისადმი და სიკეთისადმი. სახარებისეული სიმართლით ცხოვრება, ანუ სარწმუნოება და მორალური კრიტერიუმები აბსოლუტური საფუძველია, რომლისგანაც გამომდინარეობს საზოგადოების ამქვეყნიური კეთილდღეობაც და სტაბილურობაც, თანახმად მაცხოვრის აღთქმისა – „ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთიასასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ“ (მათე, 6.33)<sup>14</sup>.

<sup>13</sup> წმ. მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებით ადამიანი თავისი არსით უხილავისა და ხილულის (ნივთიერის) ამ ღვთაებრივი მთლიანობის მატარებელია, ანუ მას „თვით მის თავადისაცა დამბადებელისა და სიტყვიერისა და პირუტყვისა და ყოველსავე აგებულისა ბუნებისა ზიარებაჲ თავსა შორის თვისსა მოაქვს“ (არსენ იყალთოელი). ეს ნიშნავს, რომ „უკვდავი და მეტყველი სულით ადამიანი ზიარია ზეციურ ძალებთან, ხოლო მშვინივერობით, ხორციით, სმით, ჭამით, ძილით და სხვა ზიარია პირუტყვთან, ორძილითა (მცენარეებთან გ.ჩ.) მოზარდობით, რომელ ხეც იზრდება და ბალახიცა“ (იოანე ბატონიშვილი); „რათა მის მიერ ვითარცა საზოგადოებასა საკრველისა მიერ შეერთებდ ღმრთისა შემოკრებოდინა ყოველნი საცნაურნი და გრძობადნი დაბადებულნი“ (არსენ იყალთოელი). ამიტომაც, ადამიანი ღვთის მიერ „წინასწარ განსაზღვრებულ არს მფლობელად ბუნებისა, წარმოაჩინებლად ნებისა მისისა ქუეყანასა ზედა... რისთვისაც ხატად ღმრთისა და მსგავსებად შექმნა ღმერთმან კაცი და მეცნიერებასა მისსა ღირს ყო და სიტყვიერებით ყოველთა ცხოველთაგან იგი მხოლოდ შეამკო“ (იოანე ბატონიშვილი). ასე რომ, ღვთის ხატება ადამიანში, წმ. ეკლესიის განმარტებით, ნიშნავს ასევე შექმნილ ბუნებაზე ღვთის ძალაუფლების თანაზიარებას და პასუხისმგებლობასაც. ამ საზრისს გამოხატავს წმ. ეპისკოპოსის გაბრიელის სიტყვებიც, „კაცს მისცა ღმერთმან სამკვიდრებლად ყოველი ქვეყანა, კაცს დაუმორჩილა ღმერთმან ყოველი ბუნება... ღმერთმან თავისი თავი გამოუცხადა და ამცნო მხოლოდ კაცსა... მართო კაცს აქვს გულში დანერგული აზრი ღმერთზედ; მაშასადამე, კაცმან უნდა აღიდოს ღმერთი ყოველისა ქვეყნისა და ყოველთა ქმნილებათა მგიერ“.

<sup>14</sup> „სასუფეველი ცათა ესაა უხილავი, შინაგანი ცხოვრება კაცისა... რათა ფიქრი, განზრახვა, სურვილები, მიდრეკილებანი, სიყვარული, სიძულვილი, ყოველივე დაუმორჩილოს სიმართლესა სახარებისა“ (წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი), ქართველი ხალხის მთელი ცხოვრების წესის აბსოლუტური საფუძველიც სახარებისეული მცნებები იყო. „გულშეწირული ღვთისმოსაობა, წრფელი უმანკოების სიმართლე, სამშობლოს თავდადებული ერთგულება. თავიანთ სახლეულობაში მშვიდობის მყოფელობა, სიყვარული თავისის სახლის პატრონობისა და დასასრულ, წმინდა სახარების წესი“ (იხ. აღ. ორბელიანი, ძველი სახლეულობა, ქართული მწერლობა, ტ. IX. 1992); წმინდა ქალაქის, იერუსალიმის სახელი კი „მნათობდა მეფეთა სახლსა შინა და გლეხთა ფაცხათა... მზეობდა ქართველთა ერისა გულთა და გონებათა შინა“ (პ. იოსელიანი, გვ.11).

თავად ბუნება ხალხურ წარმოდგენაში გამოუღვეველი სინათლისა და სიხარულის ღვთაებრივი განსასვენებლის „იგავი“ – ალეგორიაა, სადაც ცხონებულნი „საღმრთოთა მის სლვითა გონებისაითა უნივთოდ იმოთხვიან“ (გიორგი მცირე). სიმწვანე, საჩრდილობელი – ზეციური „ქორწილის“, ცხონების სახეა და აღნიშნული იგავთმეტყველება ცხონების სიტყვაზე დაფუძნებული (იხ. ფსალმ. 1.3; 22.1) შტრ. ცხონება – სასუფეველის ამ ესქატოლოგიურ იდეას გამოხატავენ პოეტის სიტყვებიც – „სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა სამე დარგოს“ (ვახტანგ მეექვსე). გავიხსენოთ აგრეთვე ქართველთა სადღესასწაულო „მწვანე სუფრები“, შუაში აუცილებლად ყვავილების სამფება თაიგულით, საქორწილე „ჯვრის პურები“, საფლავზე ვაზისა თუ ხის დარგვის ჩვეულება და სხვა. სალოცავთან ახლოს მდგომ მძლავრ, ფოთლოვან ხეებს (მუხა, ცაცხვი) ხალხი წმინდა ხეებს უწოდებდა. სალოცავებს ასევე თავისი ტყეები გააჩნდათ, რათა „წმინდა გიორგის საჩრდილობელი ჰქონდესო“. ამ კალენდარული ჩვეულებების ერთ-ერთი ფუნქცია კი საარსებო გარემოსთან შეგუება, მისი შენახვაა.

**The Issue of Attitudes towards Nature in Folk Traditions**

## Summary

Religion, moral criteria form the absolute axiological (value) basis of culture, which gives the form of social law (norms) to the obligations and good will. It is namely participation in God's heavenly realm or „wellbeing“ which motivates the orientation of seasonal labor habits and holidays on the church calendar and the order of sacrifice, which was considered by the people as a universal obligation similar to lighting a candle in the cathedral. Traditionally the first and the best part of the harvest, wine, the first cattle, dairy production, etc was sacrificed to the church in order to have the best „nats'ili“ (share) with the god. People referred to holy persons („children of God“) as „nats'ilian“ (share-holders), „dovlatiani“ (owners of wealth). In most cases people sacrificed bulls in order to show gratitude and to ask protection in case of danger. The bull was a symbol of the idea of sacrifice and „priesthood“ expressing „eternal priest“, the reign of Christ, therefore a bull was considered as an animal of sacral persons. In the population, a bull, similar to wild boar, is a sacral animal of St. George; a sacrificed bull was called „kurati“ or „shets'iruli“ (sacrificed). A church servant used to paint a cross on the forehead of a person making such a gracious sacrifice. Every village or place had its patroness, i.e. „mother“, Our Lady. People prayed and asked her to protect their families, to be gracious and give abundant harvest. They asked her to protect every living being; it was realized in „preaching for the land“ („mitsis vedreba“) or „order of a house“ („sakhlis ts'esi“), a spectacle about the patron of the home („pudzis angeloz“ „meziri“) etc. According to sacral Tradition, Our Lady is the „mother“ or leader of the Georgian nation and Georgia is her „abode“ -“part“. The splendid nature, greenery, abundance, is an image of God's kingdom, realm. This idea is expressed by a habit of planting a vine or a tree on the grave. Every place of worship had its wood, which was considered sacral.

Practical function of folk calendar habits was the adaptation to the existing natural order and the coexistence.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი აღთქმად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, თბ. 1963
2. ბასილი დიდი, კითხვად მოღვაწეთად, ჯვარი ვაზისა, №1, 1990
3. გიორგი მერჩულე, შრომად და მოღვაწებად ღირსად-ცხორებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, ძველი მწერლობა, ტ.1. თბ. 1990
4. გიორგი მცირე, ცხორებად და მოქალაქეობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა, ძველი მწერლობა, ტ.1. თბ. 1960
5. არსენ იყალთოელი, ძეგლისწერა, ქართული მწერლობა, ტ.2. თბ. 1987
6. ტ.გაბაშვილი, მიმოსვლა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბ. 1990
7. იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი), კალმასობა, ქართული მწერლობა, ტ.8, თბ. 1990
8. პ.იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ. 1978
9. ნ.აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ. 1997
10. ზ.ანჩხატელი, საყველიერო და საორშაბათო საუბარი, დროება, №48, 1880
11. ბერმონაზონი მიტროფანე, მარადიული სიცოცხლის საიდუმლოსათვის, „ლაზარეს აღდგინება“, XII, თბ. 1999
12. ი.კვიციანი, ახალი წლის ზოგიერთი თავისებურებები სვანეთში, კრებ. „აია“, თბ. 1991
13. მ. კანდელაკი, ხევისბერის ინსტიტუტის საკითხისათვის აღმ. საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVIII, თბ. 1975
14. ქართული ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1991
15. დ.ქერქაძე, ერი და კულტურა, თბ. 1984
16. ნ.ჯალაბაძე, ადგილის დედასთან დაკავშირებული ზოგიერთი რიტუალის შესახებ, ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ. 1985
17. გ. ჩინჩალაძე, ზოგიერთი ქართული ხალხური წეს-ჩვეულების ინტერპრეტაციისათვის, თბ. 2000